ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N14

25 სექტემბერი, 2018 წელი ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, გ. გოცირიძე, ე. კუხიანიძე, ვ. ძნელაძე, ბ. დავითულიანი, ქ. ჯოხაძე, მ. დარჩია.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

თენგიზ გულორდავა - სსიპ ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლის დირექტორი;

ნანი ჭანტურია - სსიპ ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: სსიპ ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლისთვის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე (19/031826467-03; 24.09.2018).**

   მომხსენებელი: ბატონი თენგიზ გულორდავა

   თანამდებობა: სსიპ ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლის დირექტორი.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, წარადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა, სხდომის მონაწილეებს გააცნო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის №106 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლის მასწავლებლები, სამეურვეო საბჭო და მოსწავლეები მხარს უჭერენ სკოლისთვის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭებას. ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ ზურაბ იარაჯული იყო სამხედრო პილოტი, რომელიც აფხაზეთში, გუმისთის ტყეში 1993 წლის საომარი მოქმედების დროს დააკავეს. ისტორიული ცნობების თანახმად, ზურაბ იარაჯულმა უარი თქვა ტყვედ ჩაბარებაზე, გამოიჩინა გმირობა, რისთვისაც მოწინააღმდეგეებმა მოკლეს. 2013 წელს, ზურაბ იარაჯულს მიენიჭა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება.

კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა 106-ე საჯარო სკოლის დირექტორს, ბატონ თენგიზ გულორდავას, რომელმაც განმარტა, რომ №106 საჯარო სკოლისთვის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების ინიციატივას საფუძვლად უდევს სკოლის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის მიმართვა სკოლისადმი - ღირსეულად დაფასებულიყო ზურაბ იარაჯული, როგორც საქართველოს ეროვნული გმირი.

კომისიის წევრი, ბატონი ვლადიმერ ძნელაძე დაინტერესდა, სწავლობდა თუ არა ზურაბ იარაჯული 106-ე საჯარო სკოლაში. პასუხად ბატონმა თენგიზ გულორდავამ განმარტა, რომ ზურაბ იარაჯული 1977-88 წლებში სწავლობდა ხსენებულ სკოლაში, რომლის დასრულების შემდეგ, სწავლა განაგრძო რუსეთის საავიაციო სასწავლებელში, სადაც მიიღო ოფიცრის წოდება. ბატონი თენგიზის თქმით, ზურაბ იარაჯული დაბრუნდა საქართველოში და მსახურობდა საქართველოს საჰაერო ძალებში. ზურაბ იარაჯულმა ,,აფხაზეთის ომის'' დროს დაბომბა მოწინააღმდეგის ტერიტორიები, რითაც ბევრი ქართველის სიცოცხლე გადაარჩინა. ერთ-ერთი ოპერაციის დროს, მტრის ძალებმა თერმული ჭურვი ესროლეს მის თვითმფრინავს და ალყაში მოაქციეს. მას შესთავაზეს ტყვედ ჩაბარება, რაზეც უარი განაცხადა და უკანასკნელ ვაზნამდე იბრძოლა. შედეგად, სამი მოწინააღმდეგე მოკლა და ერთი დაჭრა. იარაღის მჭიდის დაცლის შემდეგ ის მოკლეს.

106-ე საჯარო სკოლის დირექტორმა დამატებით აღნიშნა, რომ სკოლისთვის საქართველოს ეროვნული გმირის სახელის მინიჭება ამავე სკოლის მოსწავლეებში აამაღლებს პატრიოტულ გრძნობებს; დაინახავენ, რომ მამულიშვილობა, გმირობა და საქართველოს ტერიტორიების დაცვა დაუფასებელი არ რჩება.

კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი დაინტერესდა გეგმავს თუ არა სკოლის ადმინისტრაცია სახელის მინიჭების გარდა, თემატურ ღონისძიებებს საქართველოში ოკუპირებული ტერიტორიებისა და ეროვნული ცნობიერების ამაღლების მიზნით. პასუხად ბატონმა თენგიზმა აღნიშნა, რომ სკოლა აპირებს აფხაზეთის თემაზე კონფერენციების მოწყობას, აგრეთვე, სკოლის ტერიტორიაზე საქართველოს რუკის ფორმის კედლის აღმართვას. მისი განმარტებით, ზურაბ იარაჯულის კლასელებს გმირისთვის ძეგლის დადგმის ინიციატივა აქვთ.

კომისიის წევრმა, ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ აღნიშნა, რომ ზურაბ იარაჯული გმირია და მან სიცოცხლე ქვეყნისთვის გაიღო, მაგრამ თითოეული გმირი არის ტრაგედია ქვეყნისთვის და სჯობს, რომ ქვეყანას გმირები არ დასჭირდეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ქალბატონმა მარიკა დარჩიამ თქვა, რომ სახელმწიფოს სამოქალაქო გმირები სჭირდება, რასაც დაეთანხმა ბატონი ერეკლე კუხიანიძე. მისი თქმით, აუცილებელია საზოგადოებამ დაიწყოს მსგავს საკითხებზე ფართო მსჯელობა.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აუცილებელია ისეთი სივრცის არსებობა, სადაც ამგვარი საკითხები განიხილება და ამ მხრივ, სკოლა შესაფერისი ადგილია. დეპუტატმა, ასევე დამატებით აღნიშნა, რომ ზურაბ იარაჯული გმირულად დაიღუპა და მისთვის მტრის მიერ შეთავაზებული ჩაბარება არ შეიძლება გადარჩენის უტყუარი გარანტია ყოფილიყო.

ამავე საკითხს გამოეხმაურა 106-ე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი ნანი ჭანტურია. მისი თქმით, ზურაბ იარაჯული არ ჩაბარდა ტყვედ მტრებს, ვინაიდან მან ბრძოლა და გმირულად სიკვდილი არჩია.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ მსგავს თემებზე საუბარი მნიშვნელოვანია, ვინაიდან თუ საზოგადოება არ გაიაზრებს საკუთარი წარსულს, მას გაუჭირდება ბევრ გამოწვევასთან ღირსეულად გამკლავება.

კომისიის წევრმა, ბატონმა ბექა დავითულიანმა აღნიშნა, რომ ბატონი ერეკლე კუხიანიძის მოსაზრება მნიშვნელოვანია და მსგავს საკითხებზე სკოლის მოსწავლეებთან მსჯელობა საინტერესო იქნება. მისი თქმით, გმირობა არჩევანია და როგორც ცნობილია, ზურაბ იარაჯულმა გმირობა აირჩია.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, თენგიზ გულორდავამ, ვლადიმერ ძნელაძემ, მარიკა დარჩიამ, ერეკლე კუხიანიძემ, ბექა დავითულიანმა, ნანი ჭანტურიამ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „სსიპ ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლისთვის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიცირების დადებითად შეფასების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 6-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მომხრე _____	8
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	0

გადაწყვიტეს: (ერთხმად) განათლებისა და კულტურის კომისია დადებითად აფასებს სსიპ ქალაქ თბილისის №106 საჯარო სკოლისთვის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიცირების საკითხს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 6-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარემ განუმარტა 106-ე საჯარო სკოლის წარმომადგენლებს, რომ კომისიის სამდივნო მოამზადებს სკოლის სახელდებისთვის საჭირო დანარჩენ დოკუმენტაციას და დაუკავშირდება სკოლას. მანვე იმედი გამოთქვა, რომ სკოლის მიერ დაგეგმილ ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებში კომისიის წევრებიც ჩაერთვებიან, რასაც ბატონი თენგიზიც დაეთანხმა. მან ასევე, მადლობა გადაუხადა სხდომის მონაწილეებს საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თამარ ტალიაშვილი